ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 40

2010 წლის 10 მაისი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევა და წარდგენა დასამტკიცებლად წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
2. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის აკადემიური კონკურსის განხილვა და დამტკიცება, კერძოდ, ასაკის გამო ჩარლზ ჰერონ ფეირნბექს უმცროსისა და ალექსანდრე ნერსესიანის სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დამტკიცება და გიორგი მაისურაძისა და ნატა მეფარიშვილის 1 წლით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მიღება და დამტკიცება;
3. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის შექმნა და დამტკიცება.
4. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორებისათვის, კერძოდ, ლალი ჯოხაძის, მარინე ფალავანდიშვილის, ლილი მექვაბიშვილის, მაყვალა ცარციძისა და ლამარა ჩიკვაიძისათვის 65 წლის ასაკის მიღწევის გამო ”ლექტორის” სტატუსის განსაზღვრა და დამტკიცება;
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის.
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციის კვლევის ცენტრის დაფუძნების საკითხის განხილვა.
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ.შ. ლევან ცაგარელის წარდგინების განხილვა ერთიანი საუნივერსიტეტო ციტირების წესის შემოღებასთან დაკავშირებით, ამავე ფაკულტეტის პროფესორებისათვის

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

8. ინსტიტუტის შექმნის წესის დამტკიცება.
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მერაბ სვანაძე - სხდომის მდივანი;
3. გურამ ყიფიანი;
4. ნელი წიბახაშვილი;
5. დავით მიქელაძე;
6. მალხაზ მაყაშვილი.

არჩევნების ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის უზრუნველყოფის მიზნით სხდომაზე მოწვეულ იქნა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მაია გამეზარდაშვილი - უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

სოფიო ძოწენიძე - საარჩევნო კომისიის წევრი;

ნინო თევდორაძე - საარჩევნო კომისიის წევრი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2010 წლის 10 მაისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. **დადგინდეს** - არჩეულ იქნას 6 ხმით არცერთის წინააღმდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე სრული პროფესორი სერგო რატიანი 4 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
2. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის წარდგინებით ჩარლზ ჰერონ ფეირნბენქს უმცროსის კანდიდატურა საბჭოთა კვლევების მიმართულებით სრული პროფესორის თანამდებობაზე და ალექსანდრე ნერსესიანი კონდენსირებულ გარემოთა თეორიის მიმართულებით (თეორიული ნანაოფიზიკა) სრული პროფესორის თანამდებობაზე 3 წლის ვადით;
3. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების წარდგინებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე გიორგი მაისურაძე და ნატა მეფარიშვილი ერთი წლის ვადით.
4. **დამტკიცდეს** - შეიქმნას ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე 2010 წლის 12 აპრილს გამოცხადებული აკადემიური კონკურსის კომისია შემდეგი შემადგენლობით: სრული პროფესორი სერგო რატიანი, სრული პროფესორი გია წულაძე და ასოცირებული პროფესორი ტარიელ სიხარულიძე.
5. **დამტკიცდეს** - უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორებს, ლალი ჯოხაძეს, მარინე ფალავანდიშვილს, ლილი მექვაბიშვილს, მაყვალა ცარციძესა და ლამარა ჩიკვაიძეს 65 წლის ასაკის მიღწევის გამო მიენიჭოთ "ლექტორის" სტატუსი.
6. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას 2010 წლის ბიუჯეტის ცვლილებები და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
7. **დამტკიცდეს** - შეიქმნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციის კვლევის ცენტრი და ცენტრის დებულება წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
8. **დადგინდეს** - ერთიანი საუნივერსიტეტო ციტირების წესის შემოღებასთან დაკავშირებით დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ე.წ. ,,ჩიკაგოს

სტილი” ითარგმნოს, მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან და აკადემიურ საბჭოზე წარმოდგენილ იქნას დასამტკიცებლად.

9. **დადგინდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორებს მიენიჭოთ უფლება, უხელმძღვანელონ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტრო პროგრამების ფაკულტეტთან შეთანხმებით.
10. **დამტკიცდეს** - ილიას სახელმწიფო უნივრსიტეტის ინსტიტუტის შექმნის წესი.

11. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივრესიტეტის საარჩევნო დებულება და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მერაბ სვანაძე